ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N11

ქ. თბილისი 27 ივლისი, 2016 წელი

ერთი მხრივ, **შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი"**, წარმოდგენილი მისი წარმომადგენლის სულხან მელაძე (პ/ნ 01008005327) სახით (რწმუნებულება N2494; 30.06.2016) (შემდგომში „მიმწოდებელი") და, მეორე მხრივ, **სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N2 საჯარო სკოლა** (შემდგომში „შემსყიდველი"), მის.: ზუგდიდი, სოფ. ოდიში, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ქეთო კიკალიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სასწავლო დამხმარე საშუალებების და მოწყობილობების (DVD-ის ოთხ კომპიუტერულ დისკზე განთავსებული სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმების ციკლის „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად" 16 ფილმისგან შემდგარი ელექტრონული ვერსია) (CPV-კოდი **39162100**) მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 სახელშეკრულებო პირობები
შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმბებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს – **115 (ასთხუთმეტი) ლარს.**

## 2. მიწოდებლის პირობები

2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და მიწოდების პერიოდულობის მიხედვით.
2.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია შემსყიდველის ოფისი, მდებარე მისამართზე: **ზუგდიდი, სოფ.ოდიში.**
2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა) ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი.
2.4 მომსახურების მიწოდების ვადაა 2016 წლის **28 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით** პერიოდი.

## 3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
3.3 შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილი განისაზღვრება მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით.
3.4 ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5 შესყიდვის ობიექტის რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო აგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
4.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშფაქტურის და მიღება–ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს მიწოდებული ობიექტის ხარისხის შესაბამისობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.2.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის ხელშეკრულებით დაგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;
5.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
5.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;
5.2.4 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
5.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
5.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;
5.3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;
5.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

5.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწიდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.5 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
11.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

12.1 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
12.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
15.2 ხელშეკრულების შესრულებაზე და მიღება-ჩაბარებაზე ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ოდიშის N2 საჯარო სკოლის დირექტორი ქეთო კიკალიშვილი.
15.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
15.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

## 16. დასკვნითი დებულებანი

16.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.

16.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

16.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

16.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

16.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

16.7 ხელშეკრულების მე–4 მუხლით გათვალისწინებული გადახდის ნაწილში ხელშეკრულების მოქმედების ვადაა მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო–თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

## 17. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ოდიშის N2 საჯარო სკოლა | შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 220355238 | საიდენტიფიკაციო კოდი: 201951637 |
| მისამართი: ზუგდიდი სოფ.ოდიში. | მისამართი: ქ. თბილისი ჩარგლის ქუჩა #73 |
| მომსახურე ბანკი საქარტველოს ბანკი | მომსახურე ბანკი სს „თიბისი ბანკი“ |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: TBCBGE 22 |
| ა/ნ GE23BG0000000126753400 | ა/ნ GE23TB7261336080100001 |
| ხელმოწერა: / /ქეთო კიკალიშვილი/ | ხელმოწერა: /სულხან მელაძე/ |

# სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმების ციკლი „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად“

## ა ნ ო ტ ა ც ი ა

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებზე, არქეოლოგიურ მონაცემებსა და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით საუბრობს ქართველთა წარმომავლობისა და სახელმწიფოებრიობის, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხზე, ბაგრატოვანთა სამეფო დინასტიის და მისი ცალკეული წარმომადგენლების მოღვაწეობაზე.
საქართველოს ისტორია, მისი ცალკეული ეტაპები და საუკუნეების მანძილზე განვითარებული მოვლენები განხილულია და გააზრებულია მსოფლიო ისტორიულ პროცესებთან მიმართებაში.
აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე საუბარობს მარტივი, ფართო აუდიტორიისათვის გასაგები ენით.
ფილმებში გამოყენებულია საისტორიო რუკები, ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საბუთები, ფოტოები, დოკუმენტური მასალები, ილუსტრაციები და კადრები ქართული მხატვრული ფილმებიდან.
ელექტრონული ვერსია თექვსმეტი სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმისგან შედგება და განთავსებულია DVD - ის ოთხ კომპაქტურ დისკზე.
თითოეულ დისკზე განთავსებულია ოთხი ფილმი.
თითოეული ფილმის საშუალო ქრონომეტრაჟი ოცდახუთი წუთია.

### დისკი № 1

**წიგნი I - ისტორიული წყაროები**

- ქართული და უცხოური ისოტრიული წყაროები;
- წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალები და მათი როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლის პროცესში.

**წიგნი II - წმინდა წიგნი**

- მთავარი საისტორიო თხზულების - „ქართლის ცხოვრების“ შინაარსი და სტრუქტურა;
- ჟამი სახელდების;
- სწავლულ კაცთა კომისია;
- „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ნუსხები;
- „ქართლის ცხოვრების“ ხარვეზები;
- არმენოფილური ტენდენცია.

**წიგნი III - ფესვები**

- მოსაზრებები ქართველთა წარმომავლობაზე;
- მეცნიერული კვლევები და დასკვნები;
- წინარე ქართული ენა;
- სახელმწიფოებრიობის სათავეებთან;
- პირველი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება;
- ერთიანი სახელმწიფოს არსებობის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი საშინაო და საგარეო ფაქტორები.

**წიგნი IV - მოქცევაი ქართლისაი**

- ქართველთა გაქრისტიანების ისტორია, წერილობითი წყაროები, ჟამი მოქცევისა;
- ქრისტეს კვართი;
- იერუსალიმიდან მცხეთამდე;
- ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილება;
- სახელმწიფო რელიგიიდან თვითმწყემსობამდე.

ᲬᲘᲒᲜᲘ V - ᲦᲕᲗᲘᲗᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲜᲘ

- ბაგრატოვანთა წარმომავლობა;
- სომეხი ბაგრატუნები;
- ჰერეთის ბაგრატიონები;
- ერისმთავრობიდან სამეფო გვირგვინამდე;
- ქართული პოლიტიკური ერთეულები VIII-X საუკუნეებში;
- უფლისციხის ყრილობა;
- მეფე აფხაზთა და ქართველთა;
- უცვლელი დინასტია.

ᲬᲘᲒᲜᲘ VI - ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘ

- იბერია V საუკუნის მეორე ნახევარში;
- მონაწილეობა ირანის ბრძოლებში;
- ავტოკეფალიის მოპოვება;
- ტფილისი - იბერიის სამეფოს დედაქალაქი;
- ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში;
- ბრძლოა ქართული ტერიტორიებისთვის;
- ურჯულო ბდეშხი;
- 482 წლის აჯანყება;
- სამგორის ბრძოლა;
- „დურ აზ გორგასარ“.

ᲬᲘᲒᲜᲘ VII - ᲑᲐᲒᲠᲐᲢ III

- ქართველთა პოლიტიკური გაერთიანების საშინაო და საგარეო პირობები;
- დავით ტაოელი და იოანე მარუშსიძე;
- უფლისციხის ყრილობა;
- აღსაყდრება;
- მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, კურაპალატი;
- ლაშქრობა განძაზე;
- „...სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის...“
- „...ეკლესიათა მაშენებელი...“
- ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III.

ᲬᲘᲒᲜᲘ VIII - ᲓᲐᲕᲘᲗ IV (1089-1125)

- ხელმწიფის ცხოვრება და მოღაწეობა;
- აღსაყდრება;
- სამხედრო რეფორმა;
- სახელმწიფო მმართველობა;
- დარბაზი;
- სავაზირო;
- მსტოვრები;
- მენაპირეები;
- სააჯო კარი;
- საგანმანათლებლო რეფორმა;
- რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და საეკლესიო რეფორმა.

...იგნი IX - ძლევაი საკვირველი

- ბრძოლა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ;
- ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის;
- დიდგორი... 1121 წლის 12 აგვისტო;
- ბრძოლა თბილისისთვის;
- ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

წიგნი X - თამარ მეფე

- საქართველო XII საუკუნის მეორე ნახევარში;
- აღსაყდრება;
- დიდგვაროვანთა ამბოხი;
- გიორგი რუსი;
- დავით სოსლანი;
- ყუთლუ–არსლანის დასი, მეფის უფლებების მკვეთრი შეზღუდვის მცდელობა.

წიგნი XI - მხედრობა უძლეველი

- შამქორის ბრძოლა;
- ბრძოლა ანისისათვის;
- ბასიანის ბრძოლა;
- ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და კარის აღება;
- ლაშქრობა ირანში;
- ამბოხი მთაში;
- ჟამი მიცვალებისა;
- მითები თამარის დაკრძალვის საკითხზე.

წიგნი XII - საქართველო XIV-XV საუკუნეებში

- ეპოქის ზოგადი დახასიათება;
- გიორგი V ბრწყინვალე;
- ურთიერთობა ილხანთა სახელმწიფოსთან;
- „გარიგება ხელმწიფის კარისა";
- „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ";
- ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი;
- მონღოლთა ბატონობის დასასრული;
- ასწლოვანი ისტორია;
- გაშლილი დროშით იერუსალიმში;
- თემურლენგის შემოსევები;
- საქართველო ისლამურ გარემოცვაში;
- ერთიანი სამეფოს დაშლის დასაწყისი.

## დისკი №4

**წიგნი XIII - ჟამი ოსმალ–ყიზილბაშობისა**

- ეპოქის ზოგადი დახასიათება;
- საქართველოს სახელმწიფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად;
- ოსმალეთი იმპერიის აგრესია;
- სეფიანების ირანის ჩამოყალიბება;
- ამასიის ზავი;
- შაჰ აბას I - ის ლაშქრობები;
- დიდი მოურავი;
- რუსეთის გამოსვლა პოლიტიკურ სარბიელზე;
- კახეთისა და იმერეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

**წიგნი XIV - ჟამი გამაჰმადიანებული ბაგრატიონებისა**

- აღმოსავლეთ საქართველოში ირანის აგრესიის გაძლიერება;
- როსტომ ხანი;
- ვახტანგ VI;
- ოსმალობიდან ყიზილბაშობამდე.

**წიგნი XV - თეიმურაზ და ერეკლე ბატონიშვილები**

- ჟამი ოსმალ-ყიზილბაშობისა;
- ღვთითკურთხევის დაბრუნება;
- ბრძოლა ამიერკავკასიაში ჰეგემონიისთვის;
- ვასალობის დასასრული - ხრესილის ბრძოლა;
- პაატა ბატონიშვილის შეთქმულება;
- მორიგე ლაშქარი;
- მარკოზაშვილების დარბაზი;
- განჯის, ერევნისა და ნახჩევანის სახანოები ქართლ-კახეთის შემდაგენლობაში;
- „ლეკიანობა“;
- თეიმურაზ II–ის ელჩობა რუსეთში.

**წიგნი XVI - პატარა კახი**

- საქართველო XVIII საუკუნის მიწურულს;
- ქუჩუკ-კაინარჯის ზავი;
- გეორგიევსკის ტრაქტატი;
- პატარა კახის შეცდომები?
- კრწანისის ბრძოლა;
- პატარა კახის აღსასრული;
- თელავის სასახლიდან სვეტიცხოველამდე.

# მიღება-ჩაბარების აქტი

თბილისი 28 ---ივლისი----.2016

ერთი მხრივ შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი" წარმოდგენილი რწმუნებული პირის, სულხან მელაძის (პ/ნ 01008005327) სახით (რწმუნებულება #2494, 30.06.2016) და მეორე მხრივ [illegible] ----------, ჩვენს შორის 2016 წლის ---------- დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. გამყიდველმა გადასცა, ხოლო მყიდველმა მიიღო ხელშეკურლბით გათვალისწინებული დოკუმენტური ფილმების ციკლის „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორქიფანიძესთან ერთად" ელექტრონული ვერსია.

2. გამყიდველის მხრიდან სრულად გადახდილია ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

3. მხარეებს ერთმანეთის მიმართ შესრულების ამ ეტაპზე პრეტენზია არ გააჩნიათ.

გადამცემი

სულხან მელაძე

მიმღები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0253178002 |

| | |
|---|---|
| 2 | 02/08/2016 |

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| | |
|---|---|
| 3 | 14:00:18 |

დრო (საათი, წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 4 | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი | 201951637 |

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 5 | სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის #2 საჯარო სკოლა | 220355238 |

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |

| | |
|---|---|
| 7 | nullჩარგლის 73 |

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| | |
|---|---|
| 8 | X |

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| | |
|---|---|
| 9 | |

ტრანსპორტირების სახე

| | |
|---|---|
| 10 | X |

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

| |
|---|
| |

მისაბმელი

| | | |
|---|---|---|
| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |

| | |
|---|---|
| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასაწავლო შემეცნებითი დოკუმენტური ფილმები " ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად " | 000071 | ცალი | 1.0000 | 115.0000 | 115.0000 |

| | |
|---|---|
| 13 | 115 - ას თხუთმეტი ლარი და ნული თეთრი |

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| | |
|---|---|
| 14 | |

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 15 | |

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 16 | |

ხელმოწერა

| | |
|---|---|
| 17 | |

ხელმოწერა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 02/08/2016 | 14:00:18 |

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი)

| | |
|---|---|
| 19 | |

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/01/2017, 16:13:17